აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

28/08/2024 ქ. ბათუმი

რიგითი ნომრის მინიჭების დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ

ვინაიდან **2024** წლის **26** ოქტომბერს ერთდროულად გაიმართება საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები, აუცილებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს **2024** წლის **26** ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილებით განისაზღვროს რიგითი ნომრის მინიჭების წესი და ვადები.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის **38**[1] მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის **45**-ე მუხლის და **73**-ე მუხლის მე-**5** პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1.

საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ **2024** წლის **26** ოქტომბრის არჩევნებისათვის მიენიჭა რიგითი ნომერი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს **2024** წლის **26** ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში მიენიჭება იგივე რიგითი ნომერი.

მუხლი 2.

იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს **2024** წლის **26** ოქტომბრის არჩევნებში, რიგითი ნომრების მინიჭების მიზნით უმაღლესი საარჩევნო კომისიაში იმართება წილისყრა, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის **38**[1] მუხლით დადგენილი წესით, თუ ამ დადგენილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 3.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს რიგით ნომერს წილისყრით ანიჭებს უმაღლესი საარჩევნო კომისია. წილისყრისას ნომრების რაოდენობა შეესაბამება წილისყრაში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობას. წილისყრაში არ მიიღებენ მონაწილეობას ის რიგითი ნომრები, რომლებიც

მინიჭებულია საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის.

მუხლი 4.

რიგითი ნომრები იწყება, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის მინიჭებული უმაღლესი რიგითი ნომრის მომდევნო ზრდადი რიცხვიდან. თუ წილისწყრაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტი წილისყრა აღარ იმართება და რიგითი ნომერი ენიჭება ავტომატურად.

მუხლი 5.

საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრის მიზნით სათანადო პროცედურები ტარდება უმაღლესი საარჩევნო კომისიის შენობაში, საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების შემდგომ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 55-ე დღისა (პირველი სექტემბერი).

მუხლი 6.

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე
კომისიის მდივანი